ტერმინი	განსაზღვრება	სურათი
შემწოვი პროდუქტები	შემწოვი პროდუქტები იწოვს და/ან აგროვებს შარდს ან ნაწლავის გამონაჟონს. შემწოვი პროდუქტები შესაძლებელია იყოს რეცხვადი ან ერთჯერადი. მათ ვუწოდებთ ჰიგიენურ საფენებს.	
კათეტერი	რბილი მილი, რომელიც გამოიყენება შარდის ბუშტიდან შარდის გადევნებისთვის. იყენებენ ადამიანები, რომელთაც არ შეუძლიათ შარდის ბუშტის დამოუკიდებლად ან ნებით დაცლა. კათეტერის ტიპის მიხედვით, შესაძლებელია საჭირო იყოს სხვა აღჭურვილობაც, მაგალითად: ფეხზე მისამაგრებელი შარდმიმღების ჩანთა.	
შეკავების უნარი	შარდის ბუშტისა და ნაწლავის ნებით დაცლის უნარი სოციალურად მისაღებ ადგილას შესაძლებელია აღვწეროთ, როგორც ტუალეტით წარმატებით სარგებლობა.	
პირადი ჰიგიენა	საკუთარი სისუფთავის შენარჩუნების უნარი, რათა შემცირო ჯანმრთელობის ისეთი რისკები, როგორებიცაა: ინფექციები, ხახუნთან ან ნესტთან დაკავშირებული კანის დაზიანება.	
ნაწოლები	ნაწოლი წარმოადგენს კანის მთლიანობის დარღვევას. ის ძირითადად აღინიშნება ძვლიან უბანზე და გავრცელებული პრობლემაა მათთან, ვისაც შეგრძნებასთან (მგრძნობელობასთან) ან გადაადგილებასა და პოზიციის შეცვლასთან დაკავშირებული პრობლემები აღენიშნებათ.	
შეუკავებლობა	როდესაც ადამიანს უჭირს ან ვერ აკონტროლებს შარდის ბუშტის (შარდის შეუკავებლობა) ან ნაწლავის (განავლის შეუკავებლობა) დაცლას ნებით.	
თავის მოვლა	თავის მოვლა ნიშნავს საკუთარ თავზე ზრუნვას. ეს TAP მოდული ორიენტირებულია თავის მოვლის აქტივობებზე, რომელთაც პირი ძირითადი პირადი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად ყოველდღიურად ახორციელებს. მაგალითად: ბანაობა, ტუალეტით სარგებლობა, ჩაცმა, ჭამა და სმა.	

შარდსადენი	შარდსადენი წარმოადგენს საშარდე სისტემის ნაწილს. შარდი შარდის ბუშტიდან შარდსადენის გავლით სხეულის გარეთ გამოიყოფა.